

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

- 1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ჭიდაობის პოპულარიზაცია და სპორტსმენთა აღზრდა.
- 1.2. სამსახურის დამფუძნებელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ს/კ 222938490).
- 1.3. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2

სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

- 2.1 სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საქართველოს სამოქალაქო კოდექსით” ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.2 სამსახურის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ ქალაქ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“ (შემდგომში - კლუბი)
- 2.3 სამსახურის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქ. N4. (საიდენტიფიკაციო კოდი 422934490)
- 2.4 სამსახურს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.
- 2.5. სამსახურის ელექტრონული მისამართია: ელ.ფოსტა falavani2012@mail.ru. ტელეფონი: 595 60 85 05

მუხლი 3

სამსახურის საქმიანობის მიზნები და ფორმები

სამსახურის მიზანია:

- 3.1 ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;
- 3.2 ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში;
- 3.3 თავისუფალი ჭიდაობისა და ჭიდაობის სხვა სახეობების განვითარება.

ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“ – ს საქმიანობის ფორმებია:

- 3.4 სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;

3.5 საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტული ღონისძიებათა კალენდრის შემუშავება და სპორტული რეზერვების ეფექტური სისტემის შექმნა;

3.6 სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობა;

3.7 სპორტულ შეჯიბრებებზე უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადება და მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენება;

3.8 კლუბის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური და სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

მუხლი 4

სამსახურის მართვა

4.1 სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

4.2 დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს მისი ბრძანებით ერთ-ერთი თანამშრომელი

4.3 სამსახურის დირექტორი:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის საშტატო განრიგს და სტრუქტურას.

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს;

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

დ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.

ვ) ახორციელებს კლუბის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას;

ზ) კლუბის სახელით აწარმოებს გარიგებებს, ხელს აწერს ხელშეკრულებებს, კლუბის საფინანსო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს; წარმოადგენს კლუბს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

თ) ახორციელებს კლუბის ფინანსური რესურსებისა და ქონების მართვას, პასუხს აგებს მათ სწორად გამოყენებაზე;

ი) მრჩველთა საბჭოს წარუდგენს ყოველი თვის საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე წარადგენს წინადადებებს სამომავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

კ) კლუბის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მერს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

ლ) ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს კლუბის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, განსაზღვრავს კლუბის შრომით შინაგანაწესს და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

4.4 საწესდებო მიზნების ეფექტური განხორციელების მიზნით, კლუბში იქმნება მრჩველთა საბჭო დირექტორის მიერ თანამშრომლებისაგან წარმოდგენილი 3 წევრის შემადგენლობით, დირექტორის უფლებამოსილების ვადით.

4.5 მრჩეველთა საბჭო:

- ა) განიხილავს კლუბის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- ბ) განიხილავს კლუბის მუშაობის წლიურ გეგმას და ანგარიშს;
- გ) განიხილავს და გადაწყვეტილებებს იღებს კლუბის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- დ) ისმენს დირექტორის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

4.6 დირექტორი ვალდებულია გაითვალისწინოს მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებები მისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

4.7 მრჩეველთა საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ. შესაძლებელია მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნეს დირექტორის მოთხოვნით, საბჭოს წევრის წინადადების საფუძველზე.

4.8 მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დასწრება და კენჭისყრაში მონაწილეობა სავალდებულოა.

4.9 მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

4.10 მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

4.11 სამსახურის კონტროლი:

სამსახურის კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 5

კლუბის ქონება და ფინანსები

5.1. კლუბის ქონებრივი და ფინანსური წყაროებია:

- ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სუფსიდიები;
- ბ) გრანტები;
- გ) შემოწირულობები;
- დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები.

5.2. მიღებული სახსრები კლუბმა უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად.

5.3. კლუბს შეუძლია მიღებული შემოსავლების საფუძველზე შექმნას სარეზერვო და სხვა დანიშნულების ფონდები;

მუხლი 6

ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38 მუხლის შესაბამისად.

6.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

6.4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

- ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
- ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების ამოქმედებიდან.

7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.